

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის

წინამდებარე წიგნის ავტორს, ბერ ეფრემ ფილოთეველს პირველად 1994-95 წლებში, ჩვენი მონაზვნური ცხოვრების დასაწყისში შევხვდით. ამ შეხვედრით მიღებულსა და განცდილს გულით ატარებს თითოეული ჩვენგანი. პატრიკებში ამოკითხული თვალწინ გაგვიცოცხლდა. ვხედავდით, ვუსმენდით ღვანლითშემოსილ ბერს, რომელმაც მისცა სისხლი და მიიღო სული, ვნებებზე გაიმარჯვა და შეეძლო მოციქულის სიტყვები ეთქვა: „ნუუკუე სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო“¹.

მონაზვნობის ნავსაყუდელში, ათონის წმინდა მთაზე, მამა ეფრემი 19 წლის მივიდა, იქ გამოცდილ ბერს, იოსებ ისიქასტს² დაემონაფა და ნეტარი მოძღვრის სრული, განუსჯელი მორჩილებით მისი ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრე გახდა. „ჩემი სურვილი, გულის წვა, ღვთიური სიყვარული, რომელიც მუდმივად აღანთებს ჩემი სულის წიაღს, ის არის, რომ გადარჩენ სულები და სიტყვიერ მსხვერპლად შეენირონ ჩვენს უტკბეს იესოს“, – ამბობდა ნეტარი ბერი იოსები. ამ საღვთო სურვილითაა ანთებული მამა ეფრემის მსახურებაც. მისი მდიდარი სულიერი გამოცდილებით ხელმძღვანელობს ათონის წმინდა მთის არაერთი მონასტერი. იგი დიდი ხნის მანძილზე ათონის ფილოთეოს მონასტრის ილუმენი იყო. 80-იანი წლებიდან მამა ეფრემი ამერიკაში აგრძელებს მოღვაწეობას. მან ქრისტეს სიყვარულისთვის მრავალი სული შემოიკრიბა და თავისი ცხოვრების მაგალითით ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განამტკიცა. მამა ეფრემი ამერიკაში ახლად გახსნილი მართლმადიდებლური მონასტრების სულიერი მოძღვარია. მათ შორისაა არიზონის უდაბნოს წმინდა ანტონი დიდის ბერძნული მონასტერი, სადაც დღეს მამა ეფრემი მოღვაწეობს.

მასთან ჩვენი პირველი შეხვედრისას ათონის ფილოთეოს მონასტრის მამებს „მამობრივი დარიგებანი“ უკვე გამოცემული ჰქონდათ. ეს ღვთივსულიერი მამის წერილებია, რომლებიც მონაზვნური ღვანლის შედეგად შექმნილი გამოცდილებით და სიბრძნით არის დაწერილი. სამშობლოში დაბრუნებულებმა თან წამოვიდეთ წიგნი, როგორც კეთილი მეგზური არჩეულ გზაზე და ჩვენი სულიერი მამის, აბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით მისი თარგმნა დავინყეთ. მაშინ წიგნის გამოცემაზე არ გვიფიქრია. თავიდან ვთარგმნიდით შერჩევით. ვთარგმნიდით ჩვენთვის, ჩვენი მონასტრის კრებულისთვის, თუმცა ვგრძნობდით ჩვენი თანამედროვე დიდი მონაზვნური გამოცდილების მქონე მამის წერილებისა და ქადაგებების ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობას.

გადიოდა დრო. ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ახალი შუამთის მონასტრის კრებული იზრდებოდა; სტუმარიც მრავლად იყო. მოდიოდა სულიერი თუ ყოფითი პრობლემებით გულდამძიმებული ხალხი, რომელიც ეძებდა ნუგეშს და ითხოვდა პასუხს მისთვის მტკივნეულ კითხვებზე. სტუმრებს მამა ეფრემის წიგნიდან თარგმნილ ამონარიდებს ვაძლევდით წასაკითხად. ზოგიერთი მათგანი თავისთვის ინიშნავდა წაკითხულს, ზოგიც მის გადაბეჭდვას გვთხოვდა. ყველა აღნიშნავდა ამ წერილების მნიშვნელობასა და ძალას, მით უფრო, რომ ისინი თანამედროვე ადამიანებისთვის, ბოლო დროის სწეული სულებისთვის იყო დაწერილი. მამა ეფრემის სიტყვები, როგორც მაღლის ნყარო, გადარჩენის გზაზე შედგომის ყველა მსურველს, ერისკაცსა თუ მონაზონს, რწმენით და იმედით აღავსებდა.

მონასტერში გადაწერილი თარგმანები დიდი ხნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ჟურნალ „მოყვასში“ – ალავერდის ეპარქიის პერიოდულ გამოცემაში – თემატურად შერჩეული წერილების ნაწყვეტებად ბეჭდვა დავინყეთ.

ღვთის წმინდა განგებულებით, რამდენიმე წლის წინ კვლავ მოგვეცა საშუალება შევხვედროდით მამა ეფრემს არიზონის წმინდა ანტონი დიდის მონასტერში. მაშინ გამოვითხოვეთ ლოცვა-კურთხევა „მამობრივი დარიგებანის“ სრულად თარგმნისა და ქართულ ენაზე გამოცემისთვის. მამა ეფრემის რჩევით, წიგნზე ერთობლივად რამდენიმე მონაზონი მუშაობდა; გვწამს, რომ მისი ლოცვა-კურთხევა უმთავრესისკენ მიგვიძღოდა, რომ წაკითხული ჩვენი გულების გარეთ არ დარჩენილიყო და ვნებებთან ბრძოლასა და სულიერი გამოცდილების შექმნაში დაგვხმარებოდა.

მამა ეფრემის წერილები სხვადასხვა სულიერ საკითხს ეხება. მისი ენა თავისებური და ძალიან ამაღლებულია. ეს ღვთისმადიდებელი სულის ენაა, ზეცამდე ამაღლებული გონების საუბარია. ამ წერილებისთვის დამახასიათებელია ძველი და ახალი ბერძნული ენის მონაცვლეობა. თარგმანშიც ზოგიერთი სიტყვა ძველი ფორმით არის მოცემული, მაგ. „ნუგეშინისცემა“, „ქალწულება“ და სხვ. ზოგიერთი ბერძნული ტერმინი კი – „კინოვიო“, „ისიქია“, „დიაკრისი“ და სხვ. – პირდაპირ არის გადმოტანილი სათანადო განმარტებებით.

დღეს თანამედროვე სასულიერო ლიტერატურასა და მეტყველებაში სხვაგვარა-დაა დამკვიდრებული „ბერის“ და „მონაზვნის“ მნიშვნელობა. „ბერს“ უწოდებენ მონაზონ მამაკაცს, ხოლო „მონაზონს“ – მონაზონ ქალს. წინამდებარე თარგმანში ტერმინი „მონაზონი“ ორივე სქესის მოწესეს მიესადაგება, როგორც ამას მიაანიშნებს აღკვეცის წესი („წესი და განგება წმიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა, თქმული წმიდისა და დიდისა ვასილისა“), ხოლო „ბერი“ – „სულიერი ჰასაკის“ სისრულეს მიღწეული მონაზონია, რომელიც სულიერი გამოცდილებით მოძღვრავს და ასწავლის. მას სხვა მონაზვნებისგან „მოხუცებულობა გონებისა“ გამოარჩევს (ბერძნულ ენაში „ბერის“ შესატყვისია ὁ Γέροντας, ὁ Γέρας, რუსულში კი – старец).

წიგნში მითითების გარეშე მოცემულია სქოლიოები ათონის წმინდა მთის ფილოთეოს მონასტრის ბერძნული გამოცემისა და არიზონის წმინდა ანტონი დიდის მონასტრის ინგლისური გამოცემის მიხედვით. ხოლო სქოლიოების ნაწილი შესაბამისი მითითებით შედგენილია ჩვენ მიერ.

„მამობრივი დარიგებანი“ გამოსაცემად მომზადდა ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტრის მეტოქში – ჩაკიდული თხემების წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანეში¹.

2007 წელს გამოიცა „მამობრივი დარიგებანის“ ათი თავი, ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ წიგნის სრულ, შესწორებულ გამოცემას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს თავის ქადაგებებში არაერთხელ გამოუთქვამს ჩვენს მონასტრებში მთარგმნელობითი ტრადიციის აღდგენის სურვილი. გვწამს, რომ მისი ლოცვა-კურთხევა გვეწეოდა ამ საქმეში და წიგნი, ღვთის შეწევნით, სწორედ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წელს გასრულდა.

შენდობას ვითხოვთ უნებლიე შეცდომებისთვის, რომლებსაც წიგნში შეხვდებით; მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მცირედ მაინც გაისარჯა ამ რთული და საპასუხისმგებლო საქმისთვის. გვწამს, მამა ეფრემის სიტყვა მრავალს დაეხმარება, რომ შეუდგეს „სიმართლესა, ღმრთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, სიმშვიდესა“².

ახალი შუამთის
ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
მონასტრის ილუმენია
მონაზონი იოანა
ქრისტესმიერ დებთან ერთად